პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

18 ივლისი, შაბათი, 1987 წ. ◆ № 3 (3005) ◆ 18 июля, суббота 1987 г. ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

# СООБЩЕНИЕ

## ОБ ИТОГАХ ВЫБОРОВ В СОВЕТЫ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ XX СОЗЫВА

На состоявшихся 21 июня 1987 года выборах в Советы народных депутатов XX созыва от органов внутренних дел Грузинской ССР избрано 266 депутатов. В том числе: в областные Советы — 1 депутат, в городские Советы — 80 депутатов, в районные Советы —72, в сельские Советы — 100, в поселковые Советы — 13 депутатов.

От сотрудников МВД Абхазской АССР избрано депутатами 33 сотрудника, от МВД Аджарской АССР— 25, от УВД Юго-Осетинской АО — 21, от УВД Тбилгорисполкома — 15, от УВД г. Кутаиси — 4, от ГУВДТ — 6, от горрайлинорганов — 162.

Из числа избранных депутатов — 214 членов и кандидатов в члены КПСС, 10 членов ВЛКСМ, 42 беспартийных.

Подведя итоги выборов в местные Советы народных депутатов XX созыва, народных судей и народных заседателей, бюро ЦК КП Грузии отметило, что избирательная кампания в республике прошла в обстановке политического и трудового подъема.

Обкомам, горкомам, райкомам партии, исполкомам местных Советов поручено рассмотреть итоги избирательной кампании, определить положительно зарекомендовавшие себя формы и методы организационной и агитационно-массовой работы, глубоко проанализировать высказанные в ходе подготовки к выборам критические замечания и предложения, выработать практические меры по их реализации.

# სასურველ შედეგს გარდაქმნის გზით მივაღწევთ

### საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის, შ/ს გენერალ-მაიორ შ. გორგოძის სიტყვა თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

მიმდინარე წლის I ნახევარში დედაქალაქში დამნაშავეობის წინააღმდეგ გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზებისას არ შეიძლება არ შევნიშნოთ მთელი რიგი დადებითი ტენდენციები, რომელიც დანაშაულის სტრუქტურასა და დინამიკაში შეინიშნება. კერძოდ, მათი საერთო რაოდენობა 10 პროცენტით შემცირდა, სისხლის სამართლის ხაზით 8,0 პროცენტით, მათ შორის მძიმე დანაშაული 5,2 პროცენტით. შევძელით საგრძნობლად შეგვემცირებინა მკვლელობათა მცდელობა, გაუპატიურება და მისი მცდელობა, ქურდობა და ზოგიერთი სხვა დანაშაული. რამდენადმე გაუმჯობესდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი (იყო 98 პროცენტი, გახდა 94,2 პროცენტი).

მაგრამ, თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, არ იქნება სამართლიანი დედაქალაქში შექმნილი ოპერატიული ვითარება მხოლოდ ზემოთაღნიშნული ციფრებით შევაფასოთ. მდგომარეობა ფაქტიურად საგრძნობლად გართულებულია.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკაში სისხლის სამართლის ხაზით რეგისტრირებული დანაშაულის ერთი მეოთხედი ქ. თბილისზე მოდის. სწორედ ამიტომაცაა, რომ მართლწესრიგის გაუმჯობესებას დედაქალაქში განსაკუთრებულად მოვითხოვთ. ამის გათვალისწინებით თბილისში შექმნილ ვითარებას ჯერჯერობით დადებითად ვერ შევაფასებთ. თითქმის 3-ჯერ გაიზარდა წინასწარ განზრახვით მკვლელობათა რაოდენობა. კიროვის რაიონის გარდა დანაშაულის ზრდა ყველა რეგიონში აღინიშნება. დღემდე გაუხსნელი ორი მკვლელობა უფრო ამწვავებს შექმნილ მდგომარეობას. აუცილებელია, გატარდეს ყველა საჭირო ზომები ორჯონიკიძის რაიონის ავტოგასამართ სადგურში მომხდარი მკვლელობის დროულად გასახსნელად. ამ საქმეში მეტი ინიციატივა და დამოუკიდებლობა უნდა გამოიჩინონ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ და ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილებამ. წინასწარ განზრახული მკვლელობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ყოფით დანაშაულობებზე მოდის.

მიმდინარე წლის 6 თვის შედეგების შესწავლამ დაგვანახა, რომ ბევრ შემთხვევაში მომხდარი უბედურება შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, თუკი მიზანდასახულად გავატარებდით წინასწარ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გლდანის რაიონში მოქ. ოვსიანიკოვის მიერ ყოფილი მეუღლის მკვლელობა. აღნიშნული შემთხვევა იმაზე მეტყველებს, რომ დანაშაულის აღკვეთა-აცილებისათვის ყველა სისტემა ვერ ამუშავდა.

დედაქალაქში მკვლელობათა ნახევარზე მეტი ჩადენილია სიმთვრალის ნიადაგზე. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თბილისში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სუსტად მიმდინარეობს. ეს ყველაზე მეტად საყოფაცხოვრებო სფეროში შეიმჩნევა. სამწუხაროდ, მილიციის უბნის ინსპექტორები პრაქტიკულ რეაგირებას ვერ ახდენენ არსებულ ტენდენციაზე. ზოგიერთ საკითხებში შეინიშნება რეგრესი წინა წლების მდგომარეობასთან შედარებით. საზკვების ბევრ ობიექტზე განახლდა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა; ასეთ ვითარებაში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ რა ბრძოლაზე შეიძლება ლაპარაკი?!

ლოთობასთან ბრძოლის ეფექტურობის დაცემა, შეიძლება შეტყობინებათა რეაგირებაზე ცუდი მუშაობითაც ავხსნათ.

განსაკუთრებით უნდა ითქვას საჭესთან ლოთობის პრობლემაზე. სახელმწიფო ავტოინსპექციამ წელს მთვრალი მძღოლების მიერ ავტომანქანის მართვის 1092 ფაქტი გამოავლინა. მათ მიერ მოხდა 14 ავტო-სატრანსპორტო შემთხვევა. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ამ ხაზით მუშაობა არ მიმდინარეობდეს. მუშაობა კი მიმდინარეობს, მაგრამ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია, რადგან ისინი სასურველ შედეგებს არ იძლევიან. ჩვენ უფლებამოსილი ვართ წავუყენოთ პრეტენზიები თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ავტოინსპექციას შრომით კოლექტივებსა და სასწავლო დაწესებულებებში სუსტი პროფილაქტიკური მუშაობისათვის.

ქალაქის ავტოინსპექციისაგან მოვითხოვთ, მძღოლთა შორის ლოთობასთან ბრძოლას მისცენ სისტემატური და მიზნობრივი ხასიათი, გამორიცხონ კამპანიურობა, რასაც ზოგჯერ მიმართავენ ხოლმე.

უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც დღეს ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა, არის ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა.

მიმდინარე წელს რამდენადმე აქტიურად წარმოებდა მუშაობა ნარკოტიკული ნივთიერებების გამავრცელებლების წინააღმდეგ (+12,5 პროც.), მაგრამ მთლიანად ნარკომანიასთან ბრძოლის მდგომარეობა ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნილებებს. ამ მიმართულებით სუსტად მიმდინარეობს მუშაობა შინაგან საქმეთა პირველი მაისის, კალინინისა და საქარხნო რაიონების რაიონულ განყოფილებებში. უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის შინაგან საქმეთა განყოფილებები ნაკლებად ზრუნავენ ნარკოტიკების რეალიზატორთა გამოვლინებისათვის. ნაკლებად იღებენ საჭირო ინფორმაციას, ხშირ შემთხვევაში კმაყოფილდებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გამოვლენილი ფაქტებით. მოვიყვანთ მაგალითს: საქარხნო რაიონში მხოლოდ მაშინ დაფაცურდნენ, როდესაც მოქ. საიზრატიანი სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს მუშაკებმა დააკავეს, ამასთანავე მისი ბინიდან ამოიღეს 150 გრ. ჰაშიში. მეორე მაგალითი: 5 ივნისს, სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებმა კიროვის რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს ნარკოტიკების გამსაღებელთა ორი ჯგუფი.

ცუდად არის ორგანიზებული ნარკომანების მკურნალობა. დღეს ასობით პირია აღრიცხვაზე, მათგან წელს მხოლოდ 15 გაიგზავნა სამკურნალოდ იძულებითი წესით. დანარჩენები? საჭიროა უფრო განმტკიცდეს კონტაქტები ჯანდაცვის ორგანოების შესაბამის სამსახურებთან, მხოლოდ ერთობლივი მუშაობით შევძლებთ ამ მიმართულებით მდგომარეობას გაუმჯობესებას.

აქვე უნდა აღვნიშნო ადმინისტრაციული პრაქტიკის შესუსტება ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ. წელს, შარშანდელთან შედარებით, ნარკოტიკული ნივთიერებების არასამედიცინო მიზნით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიეცა 28,9 პროცენტით ნაკლები. ამ მხრივ მდგომარეობა გაუარესდა პირველი მაისის, ოქტომბრის, გლდანის შს რაიგანყოფილებებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კალინინის შს რაიგანყოფილებას ადმინისტრაციული წესით არავინ დაუსჯია (!)

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ აუცილებლად ღრმად და პრინციპულად, საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს აქ შექმნილი ვითარების მიზეზები.

ნელი ტემპით მცირდება არასრულწლოვანთა დანაშაული. ნახევარი წლის განმავლობაში იგი სულ ორი ერთეულით ანუ 3,6 პროცენტით შემცირდა, ზოგიერთ რაიონში კი, მაგალითად, ლენინის, გლდანის, ორჯონიკიძისაში პირიქით, პოზიციის დათმობა შეიმჩნევა. დანაშაულისადმი მიდრეკილების მქონე მოზარდები არასრულწლოვანთა ინსპექციას რატომღაც მხედველობის გარეშე რჩება, პრაქტიკულად კი ამ კატეგორიის მოზარდები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში არაერთხელ ყოფილან შემჩნეული. უფრო მეტიც: მიმდინარე წლის 21 მარტს, დააკავეს 5 არასრულწლოვანისაგან შემდგარი ჯგუფი — დედაქალაქის 174-ე საშუალო სკოლის, 110-ე და 118-ე პროფტექსასწავლებლისა და მცხეთის 89-ე პროფტექსასწავლებლის მოსწავლეები. მათ ჩაიდინეს პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობა დედაქალაქის გლდანის, ოქტომბრის და საქარხნო რაიონებში. ჯგუფის ორ წევრს, მარტიროსოვსა და ბიჩანიშვილს წარსულში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი ჰქონდათ გადავადებული. გლდანის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა, რომელთა ტერიტორიაზეც ცხოვრობენ არასრულწლოვანები. 174-ე საშ. სკოლისა და 110-ე პროფტექსასწავლებლის ადმინისტრაციასთან ერთად, ჩანს, არ გაატარეს სათანადო ღონისძიებები.

არაეფექტურია მოზარდთა შორის ალკოჰოლიზმის თავიდან აცილების მიზნით ჩატარებული მუშაობა. ნასვამ მდგომარეობაში ჩაიდინეს დანაშაული ლენინის, საბურთალოს, 26 კომისრის რაიონებში. მოვიყვან ერთ მაგალითს: მიმდინარე წლის იანვარში, ზამთრის არდადეგებზე, არასრულწლოვანებმა სპირტიანი სასმელი (არაყი) შეიძინეს თბილისის მაღაზიაში, შემდეგ გაემგზავრნენ დაბა ბაკურიანში, სადაც ქ. თბილისის 47-ე და 55-ე საშ. სკოლის მოსწავლეებმა საზარაძემ, ჩხიკვიშვილმა და ლორთქიფანიძემ მთვრალებმა ხულიგნობა ჩაიდინეს, საზარაძემ ჯიბის დასაკეცი დანით სხეულის დაზიანება მიაყენა გამშველებელ სამხონაძეს.

არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების არადამაკმაყოფილებელი, უფრო სწორად ზერელე, ხშირ შემთხვევაში ფორმალური მუშაობა. არადა საზოგადოებრიობის მხარდაჭერა ხელს უნდა უწყობდეს ორგანოების საქმიანობას.

არაა საკმარისი, საჭიროზე სამჯერ ნაკლებია სახალხო რაზმეულების პუნქტების რაოდენობა, თუმცა ისინი, რომლებიც მოქმედებენ, ვერ უზრუნველყოფენ მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ამ კუთხით მუშაობის სრული გარდაქმნა გვმართებს. ეს საკითხი დროულად უნდა გადაწყდეს.

(დასასრული მე-2 გვ.).

# ПРАВОФЛАНГОВЫЕ

## УВО МВД ГССР



Без малого три десятилетия работает в органах внутренних дел республики начальник отдела вневедомственной охраны при ОВО Сабурталинского райисполкома г. Тбилиси подполковник милиции Р. Бежашвили. Добросовестная служба коммуниста Р. Бежашвили получила достойную оценку — он награжден тремя медалями всех степеней «За безупречную службу в МВД», почетной грамотой МВД ГССР, нагрудным знаком «Отличник милиции» МВД СССР, его послужной список украшают два десятка благодарностей.



Весной этого года начал службу в ОВО при Глданском РОВД г. Тбилиси сержант милиции Г. Саркисян, направленный на работу в органы внутренних дел Глданским райкомом партии. Молодой коммунист уверенно постигает азы новой профессии, уже сейчас добивается хороших результатов в выполнении своих служебных обязанностей.

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ В период с 4 по 10 июля сотрудниками подразделений УВО раскрыто: по линии УР — одно преступление, по линии БХСС — три преступления; выявлено: 172 мелких расхитителя соцсобственности и изъято похищенного на сумму 803 рубля, задержано 185 правонарушителей, доставлено лиц в нетрезвом состоянии — 81, средствами сигнализации оборудовано 30 объектов народного хозяйства и 9 обособленных помещений, оборудовано средствами сигнализации 85 квартир граждан, в том числе с подключением на пульты централизованного наблюдения — 76.

# სასურველ შედეგს გარდაქმნის გზით მივაღწევთ

(დასასრული)

მთელი რიგი პრეტენზიები გვაქვს სამძებრო სამსახურის მისამართით. თუმცა ძებნილთა რიცხვი შემცირდა 26,8 პროცენტით, ჯერ კიდევ ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მიერ 1975 წლიდან იძებნება მ. აჭიაშვილი, 26 კომისრის შს რაიგანყოფილებიდან 1980 წლიდან კ. მანუკიანი, საქარხნო შს რაიგანყოფილებიდან 1977 წლიდან იძებნება ვ. თარხანოვი, საბურთალოს შს რაიგანყოფილებიდან 1978 წლიდან იძებნება ნ. მაისურაძე. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ძებნილთა დაკავებაში აქტიურად მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები.

რამდენადმე გაუმჯობესდა სამეურნეო ხასიათისა და თანამდებობრივ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა, გაიზარდა დატაცების გამოვლინებათა რიცხვი, მათ შორის დიდი ოდენობით. მექრთამეობისა და სპეკულაციის ფაქტები. სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დედაქალაქის შინაგან საქმეთა ზოგიერთი განყოფილება წარსულში გამოვლენილი რიცხვების ბალანსირებას ეურდნობა და არა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას; ასეთებია 1 მაისის, 26 კომისრის, კიროვის, კალინინის შს განყოფილებები. შინაგან საქმეთა სამინისტრო თვლის, რომ მუშაობის ასეთი პრაქტიკა არასწორია, დროა აღნიშნულმა სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დანაშაულებრივ და სამეურნეო სახის დანაშაულებთან ბრძოლას, საქმოსნების გამოაშკარავებას. ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრ სამეურნეო ობიექტზე მდგომარეობა კვლავ გართულებულია. ეს პირველყოვლისა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაზე, ვაჭრობის, მხუბუქი და ადგილმრეწველობის ობიექტებზე ითქმის. ჯერ ვერ დამყარდა წესრიგი საქნავთობპროდუქტების სისტემაში. დაზიანებულია საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოების სისტემაში შემავალი ობიექტები, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებენ საქმოსნები და ადგილი აქვს აღურიცხავი საქონლის გამოშვებას, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი სარევიზიო სამსახურები, თვით საწარმოს ხელმძღვანელობა, აგრეთვე რესპუბლიკური საზოგადოება სათანადო ყურადღებას არ აქცევდა საწარმოში შექმნილ მდგომარეობას, პირიქით, თავიანთი უკონტროლობით ხელს უწყობდნენ საქმოსნებს.

გულახდილად რომ ვთქვათ, უკმაყოფილო ვართ ავტოინსპექციის მუშაობით. დღეისათვის ისეთი არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი, რომ დედაქალაქში ავტოავარიების რიცხვის შემცირებაც კი ვერ აუწევს მათ მუშაობას ავტორიტეტს. სამწუხაროდ, ავტოინსპექციაში იმატეს არაკეთილსაიმედო მუშაკებმა. მიმდინარე წელს ავტოინსპექციის 8 თანამშრომელი დავითხოვეთ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. დაბალ დონეზეა თანამშრომელთა პროფესიული მომზადება. სამსახურში არ არის შეურიგებლობის ატმოსფერო უპატიოსნო თანამშრომელთა მიმართ. დედაქალაქის ავტოინსპექციის მუშაკებისაგან მოვითხოვთ განახორციელონ სამსახურის მუშაობის გარდაქმნა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

ყველა თქვენგანისათვის ცნობილია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკადრო მუშაობას. ყველაფერი კადრების სწორი შერჩევით იწყება, ამიტომაც სამმართველოს შესაბამისი განყოფილება კანდიდატების შერჩევას განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ანიჭებდეს, ძირფესვიანად უნდა სწავლობდეს და მორალურად მტკიცე, მომზადებული, ერუდირებული კადრებით დააკომპლექტოს სამსახურები. დროა, მოძველებული სტილი და მეთოდები უკუვაგდოთ.

ანკეტური მონაცემებით შერჩეული კადრები ჩვენთვის მიუღებელია, სწორედ ამიტომაცაა, რომ მიმდინარე წელს ორგანოებიდან შინაგან საქმეთა სამმართველოს 50 თანამშრომელი დავითხოვეთ, მათგან 9 ახალი მოსული იყო, სულ რამდენიმე თვე ჰქონდათ ნამუშევარი.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ შესაბამისი სამსახურის მუშაკებს გარდაქმნან მუშაობა დროის შესაბამისად, საფუძვლიანად შეარჩიონ კანდიდატურები შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის, რადგანაც კადრები ძირითადი რგოლია, რომელზედაც დამოკიდებულია სამმართველოს მუშაობის შემდგომი წარმატება.

წლის დაწყებიდან დღემდე სამმართველოს თანამშრომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა სოც. კანონიერების დარღვევის 17 შემთხვევას, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებმა ჩაიდინეს 8 დანაშაული. ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს ლენინის შს რაიგანყოფილების 2 თანამშრომელი. საჭიროა ძირფესვიანად იქნას შესწავლილი და გაანალიზებული ზემოთ აღნიშნული ფაქტები. ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ეფექტური ზომები უნდა მიიღოს შემდგომში ასეთების ალსაკვეთად და სათანადოდ იზრუნონ თავიანთ რიგებში წესრიგის დასამყარებლად. უხერხულიც კი არის წესრიგის დამცველებს წესრიგზე მივუთითოთ, მაგრამ შექმნილი ვითარება მოითხოვს ამას.

როგორც ვხედავთ, დედაქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს საქმიანობაში ბევრი მწვავე, აქტუალური პრობლემაა. სამინისტროს კოლეგია და პოლიტიკური განყოფილება იმედს გამოთქვამს, რომ სამმართველოს ახალი შემადგენლობა ენერგიულად, ძალების მობილიზებით, დაუფარავად აღმოფხვრის არსებულ ნაკლოვანებებს, უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის მოთხოვნების შესრულებას სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

(იბეჭდება შემოკლებით)

## НА ЛИНИИ РУСТАВИ

# Умело и оперативно

**действовали при тушении пожара подразделения ВПО города Рустави, — рассказал нам в беседе по телефону начальник политчасти ОВПО-4 майор внутренней службы Г. Игнатьев.**

Сообщение о пожаре на лесобирже Руставского деревообрабатывающего комбината Министерства строительства ГССР поступило 7 июля в 20 часов 09 минут. На место пожара были направлены девять оперативных отделений во главе с помощником начальника отряда ВПО г. Рустави старшим лейтенантом внутренней службы М. Цицкишвили.

К моменту их прибытия огнем были охвачены технические дрова, кругляки березы и ясеня на площади в 600 кв. метров. Быстрому распространению огня по штабелям лесоматериалов способствовали их длительное хранение навалом, без соблюдения противопожарных разрывов и жаркая сухая погода.

Благодаря четким и скоординированным действиям, мужеству и самоотверженности всех бойцов уже к 23 часам пожар был локализован. Высокое мастерство при тушении проявили командиры отделений ВПЧ-43 и ВПЧ-41 Э. Нарозашвили и Т. Джададзе, водитель ВПЧ-5 А. Гусейнов, старший пожарный ВПЧ-42 В. Ноздрин, пожарные ВПЧ-41 и ВПЧ-44 Д. Кумаритов и И. Дамазишвили, многие другие. Благодаря их усилиям к двум часам ночи пожар был полностью ликвидирован. От уничтожения огнем спасены лесопильный и деревосушильный цехи, лесоматериалы и другие материальные ценности на сумму более 1,5 миллионов рублей.

Рассмотрев вопрос о пожаре, нанесшем значительный материальный ущерб, бюро ЦК КП Грузии отметило, что возникновение пожара явилось результатом безответственного отношения руководства комбината к соблюдению противопожарной безопасности.

# ПЛОДОТВОРНЫЙ ДИАЛОГ ПРОДОЛЖАЕТСЯ



Продолжением плодотворного делового диалога с общественностью стала состоявшаяся недавно в городе Цхинвали встреча руководства УВД Юго-Осетии и Цхинвальского городского ОВД с населением.

На встрече, открывшейся вступительным словом, открыл начальник политотдела УВД Юго-Осетии майор милиции С. Липин, перед собравшимися с докладом выступил начальник УВД полковник внутренней службы В. Балавадзе. Он отметил, что оперативная обстановка в области в целом благоприятна, наметилась тенденция к сокращению числа преступлений. Однако, несмотря на определенные положительные результаты, о полном благополучии говорить еще рано.

Отмечено, что все еще имеет место совершение преступлений в состоянии алкогольного опьянения.

Несколько возросло количество квартирных краж. Хочется отметить в этой связи одно обстоятельство, — продолжил далее начальник УВД области, очень часто граждане сами провоцируют воров, оставляя открытыми двери, окна своих домов, излишне порой доверяясь незнакомым людям. К тому же почти все кражи совершены в квартирах, где не была установлена охранная сигнализация.

Было отмечено также, что в работе органов внутренних дел Юго-Осетии еще имеются отдельные недостатки. Руководство, политаппарат, партийные организации управления, городских и районных отделов ведут большую работу по искоренению негативных явлений, по мобилизации сил и возможностей каждого работника, какой бы пост он не занимал.

После доклада присутствующие задали ряд вопросов начальнику УВД, руководителям отделов. Особое внимание было уделено организации индивидуальной трудовой деятельности. На встрече присутствовали заведующий отделом административных и торгово-финансовых органов Юго-Осетинского обкома партии Т. Табахмелашвили, второй секретарь Цхинвальского горкома партии Г. Мацишвили, начальник отдела КГБ по Юго-Осетинской автономной области М. Аласания.

В заключение встречи состоялся концерт, в котором приняли участие артисты Грузинской госфилармонии и художественный коллектив Республиканского Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР.

**Т. ГУЧМАЗТЫ,**
**инструктор пресс-группы политотдела УВД Юго-Осетии.**

**НА СНИМКЕ: на вопросы участников встречи отвечает начальник политического отдела УВД Юго-Осетии майор милиции С. Липин.**

# ОЧЕРЕДНОЙ НОМЕР «СМ»

**Вышел в свет очередной, шестой за этот год, номер журнала «Советская милиция». В номере заместитель министра внутренних дел СССР генерал - полковник милиции Б. К. Елисов в статье «Участковый инспектор милиции» раскрывает пути перестройки деятельности этого важнейшего звена милицейской работы, приводит передовой опыт по ее организации. Улучшению работы участковых посвящены также материалы «Перешел на новый участок», «Самогоноварение... Как мы с ним боремся?»**

**Под рубрикой «Решения XXVII съезда КПСС — в жизнь!» опубликована статья начальника Главного следственного управления МВД СССР, генерал-майора юстиции В. Г. Новикова «Необходимое условие перестройки», в которой рассказывается о мерах по дальнейшему укреплению социалистической законности в ОВД.**

სკკპ XXVII ყრილობის, მომდევნო პლენუმების შემდგომ განვლილი პერიოდის მანძილზე გაზეთების, ჟურნალების შინაარსი გვარწმუნებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა პრესის წამყვანი თემა გახდა. შესამჩნევია ჟურნალისტთა მისწრაფება ხელი შეუწყონ ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, გააფართოონ საჯაროობა, გააანალიზონ კადრების, მათი აზროვნების ძირეული ფსიქოლოგიური მომენტები, მოხსნან ფარდა პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის სტილი.

ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საქმიანობის უფრო სისხლსავსედ გასაშუქებლად, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისადმი ბრძოლის გასაგრძელებლად, მოწინავე გამოცდილების განსაზოგადებლად, რათა საზოგადოების თვალში საჯაროდ ყოფილიყვნენ მხილებული დამნაშავე ელემენტები, გაძლიერებულიყო პროფილაქტიკური მიმართულება — საჭიროდ მიიჩნიეს სამმართველოს ბეჭდვითი ორგანოს შექმნა. სწორედ ასეთად მოგვევლინა ქ. ქუთაისის შს სამმართველოს სატირულ-იუმორისტული ფურცელი „შანთი" (რედაქტორი შ. ს. გაგიშვილი). მიმდინარე წელს გადახალისდა მისი სარედაქციო კოლეგია, შეივსო ახალი წევრებით, ახალი მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალა მისი ორიენტაცია, თემა და შინაარსი. რის შედეგადაც შეიძინა მეტი ბრძოლისუნარიანობა.

## მოწინავე გამოცდილება

# შეისწავლე და გამოიყენე

„შანთი", როგორც ეს მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, ებრძვის ყოველივე მანკიერს, ნეგატიურს ჩვენს ყოფაცხოვრებაში.

„შანთმა" უკვე დაიმსახურა ყურადღება. იგი ვრცელდება ქალაქის მოსახლეობაში, წარმოება-დაწესებულებებში, გაკრულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. იგი ერთ-ერთ საინტერესო ბეჭდვით ორგანოდ იქცა, რომელსაც ინტერესით მოელის ფართო მკითხველი. მისდამი დიდ ყურადღებას იჩენს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა.



„შანთი" თავის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებს ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა სადირექტივო წერილებს, აგრეთვე ცალკეული აქტივისტების კორესპონდენციებს. აქვე სატირულ-იუმორისტული „სამოსელით", სარკაზმით სააშკარაოზეა გამოყვანილი მექრთამეები, გამომძალველები, სპეკულანტები, ნარკომანები, ქურდები, ხულიგნები — ყველა ჯურის დამნაშავე ელემენტები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოქვეყნებული მასალების ქმედითობას, შემოღებულია რუბრიკები: „შანთს" უპასუხებენ", „გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ" და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საქალაქო გაზეთები „ქუთაისი", „კუტაისკაია პრავდა", ადგილობრივ გადაცემათა რადიორედაქცია ყოველთვის ეხმაურება „შანთის" ახალი ნომრის გამოსვლას და დადებით რეცენზიებს უძღვნიან „შანთს". ამასთან გაზეთები თავიანთ ფურცლებზე ბეჭდავენ სტატიებს, წერილებს, კორესპონდენციებს „შანთიდან", ხოლო „შანთის" რედკოლეგია „ქუთაისის" ფურცლებზე აქვეყნებს მის მიერ მომზადებულ გვერდებს, სტატიებს სამართალდარღვევათა შესახებ.

რედკოლეგიას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს როგორც შს ორგანოების ფართო აქტივი, აგრეთვე ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებიც „შანთის" ფურცლებზე საინტერესო მასალებს აქვეყნებენ.

წარმატებით გამოდის სამხრეთ ოსეთის შს სამმართველოს მსგავსი პერიოდული გამოცემა „შოლტი", პირველი ცდები განხორციელდა რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონშიც, ვფიქრობთ ასეთი გამოცემების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა ხელს შეუწყობს ადგილობრივ ორგანოებს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ა. ანდრიაძე.

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ 11 июля в дежурную часть ЛОВД ст. Тбилиси из Ленинаканского ЛОВД поступили материалы о краже личных вещей у пассажиров поезда Сочи — Ереван М. Исагуляна и Г. Арутюняна. В результате принятых мер задержан Г. Ростнашвили, житель села Дзегви Мцхетского района. Краденое изъято.

◆ Сотрудниками УВД г. Тбилиси уличены Д. Аветов и Г. Чинчараули, которые войдя в преступную связь занимались хищением виноматериалов из Кварельских винзаводов. В частности, Аветов похитил из вышеуказанных заводов 5500 литров вина.

◆ Сотрудниками ОБХСС и следотдела УВД г. Тбилиси в результате проведенных оперативно - следственных мероприятий у ранее задержанного Н. Чихрадзе обнаружены в тайниках и изъяты перепрятанные им товары: искусственный каракуль, занавесочные материалы, чехлы для автомашин и разные ткани на общую сумму 18 тысяч рублей.

◆ 14 июля сотрудниками Гальского РОВД задержан А. Киртхалия, который в этот же день в ночное время угнал в г. Очамчира автомашину, принадлежащую Р. Зухбая. У Киртхалия изъят пистолет «ТТ» с 6-ю боевыми патронами. Автомашина в сохранности возвращена владельцу.

## ХРОНИКА

◆ Полковник милиции Бежанидзе Михаил Билалович назначен на должность министра внутренних дел Аджарской АССР.

◆ За дискредитирующие звание начсостава милиции действия, выразившиеся в управлении автомашиной в нетрезвом состоянии и нарушении правил дорожного движения инженер оперативной связи отдела связи МВД ГССР старший лейтенант милиции Т. Лаперашвили приказом министра МВД ГССР уволен из органов внутренних дел.

◆ ВНИМАНИЕ — ПЕРЕДОВОЙ ОПЫТ

# АКТИВИЗИРУЯ БОРЬБУ С ПЬЯНСТВОМ

**Все более широкий размах преобретает в нашей стране решительная борьба с пьянством. На искоренение этого социального зла и иных «уродливых явлений, — отмечалось на XXVII съезде КПСС, — должны быть направлены усилия всех трудовых коллективов, всех общественных организаций, всех коммунистов». О системе мер, осуществляемых органами внутренних дел республики в ходе борьбы с пьянством, алкоголизмом и самогоноварением, предупреждении связанных с ними преступных действий, о важной и ответственной роли, которая отводится в этой работе участковым инспекторам милиции, пойдет речь в публикуемом ниже материале.**

Возросшая активность в борьбе с пьянством привела к тому, что оно все более перемещается с улиц и других общественных мест в жилой сектор, вплотную приближается к объектам непосредственной служебной деятельности участковых инспекторов милиции. Именно в сфере быта, пожалуй, приходится сталкиваться с наибольшими трудностями в антиалкогольной работе. И это не удивительно, ведь быт — сложная социальная сфера, требующая особого такта, умелой и настойчивой работы с неблагополучными семьями, пьяницами, тунеядцами, трудными подростками. Именно здесь наглядно проявляются все наши упущения, недостатки в организации взаимодействия с советами общественных пунктов охраны порядка, активом домовых и уличных комитетов, товарищескими судами и добровольными народными дружинами.

Только четкое взаимодействие сотрудников органов внутренних дел с различными государственными учреждениями и общественными формированиями позволит успешно осуществлять в борьбе с пьянством комплекс мероприятий, включающий в себя средства убеждения, воспитания и государственного принуждения. Как и в любом важном деле, в этой борьбе прежде всего необходим строгий учет, точное знание обстановки на обслуживаемом участке. С этого должен начинать любой участковый инспектор.

Сегодня я точно знаю и количество хронических алкоголиков, проживающих на моем административном участке, и тех, кто завтра может скатиться «на дно бутылки», забыть семью, детей, нарушить основной закон нашего общества — необходимость трудиться.

Такой учет позволяет держать под контролем ситуацию, эффективно использовать возможности ОВД и общественности в вопросах профилактики пьянства и алкоголизма. При этом подход к человеку в каждом конкретном случае должен быть индивидуальным, не шаблонным. Именно такой подход позволил нам добиться того, что 16 хронических алкоголиков приняли добровольное решение лечиться, и у нас есть уверенность, что эти люди будут возвращены обществу полноценными гражданами.

Иногда же человек настолько глубоко погрязает в трясине пьяного болота, что вытянуть его оттуда можно лишь поместив в определенные условия. Если симптомы этой социальной болезни свидетельствуют, что она находится в начальной стадии, хороших результатов можно добиться путем установления шефства по месту жительства, в том числе и коллективного — со стороны уличных, домовых комитетов, трудовых коллективов, членов ДНД.

Выявить нарушителя норм общественного поведения на ранней стадии — значит решить половину задачи. В этом плане важную, если не первостепенную роль играют профилактические рейды, предание гласности лиц, занимающихся в угоду своим низменным потребностям, самогоноварением и реализацией спиртных напитков. Важным делом в этом отношении является использование средств массовой информации. Так, на страницах нашей районной газеты «Самгори» в последнее время опубликован целый ряд материалов на антиалкогольную тему.

В каждом трудовом коллективе созданы советы (группы) профилактики правонарушений, работа которых также направлена на усиление борьбы с пьянством. На моем участке действует 21 такая группа. Совместно с Советами общественного пункта охраны правопорядка, который координирует действия правоохранительных органов и общественности, нами созданы наркологические посты при ЖЭКах, крупных учреждениях, организациях и предприятиях. Эти пункты максимально приближены к населению и создают благоприятные условия для эффективной борьбы с пьянством, широкого привлечения к этой работе трудящихся.

Общественность узнает о всех фактах недостойного поведения людей через печать, радио, во время собраний трудовых коллективов. Мы даже используем такую форму гласности как радиоинформации, которые регулярно проводим перед началом сеансов в городском кинотеатре.

Большую помощь оказывают нам члены ДНД, осуществляющие патрулирование на закрепленных за ними участках территории, участвующие в проведении рейдов, индивидуально - воспитательной работе и антиалкогольной пропаганде.

Таким образом, с учетом всех вышеперечисленных методов, мы стремимся создать единый фронт действий всех государственных органов и общественности, постоянно усиливать бескомпромиссную борьбу с явлениями, мешающими нормальному развитию нашего общества.

**Н. АЛИЕВ,**
**старший лейтенант милиции, участковый инспектор Гардабанского РОВД.**

## АБРАКАДАБРА
## აბრაკადაბრა 1.

**ცოდვა** გამხელილი სჯობს, ზოგიერთი ჩვენგანი ჟურნალ-გაზეთებს ბოლო გვერდებზე დაბეჭდილი იუმორის, კროსვორდის, შარადის, რებუსისა და სხვა საკირკიტო თავსატეხების გულისთვის ყიდულობს. ამ მხრივ ჟურნალებს დიდი უპირატესობა აქვთ. სადა აქვს გაზეთს ამდენი გასართობებისა და გამოცანების ბეჭდვის საშუალება, მითუმეტეს, თუ იგი მცირეფორმატიანია, აი, ისეთი, ჩვენი გაზეთი რომაა (პერიოდულობაზე აღარაფერს ვამბობთ), ამიტომ კომპენსაციის სახით გადავწყვიტეთ რუბრიკით „აბრაკადაბრა" აქამდე უცნობი გასართობ-გამოსაცნობი ჟანრი შემოგთავაზოთ. ეს ჟანრი არცერთ ზემოთჩამოთვლილ „სახეობას" არ განეკუთვნება, ერთი შეხედვით უაზრობაა — ე. წ. აბრაკადაბრა, მაგრამ მასში ავტორს გარკვეული აზრი აქვს ჩადებული, რა, ამას თქვენ უნდა მიხვდეთ. ახლა კი გთავაზობთ რუბრიკის პირველ გამოშვებას, რომელიც შს ცხაკაიას რაიგანყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მილიციის კაპიტანმა **ბ. დავითაიამ** „მოგვაწოდა" საქართველოს სსრ შს სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსისადმი გაგზავნილ ოფიციალურ პასუხად.

**„მოგახსენებთ, რომ შს ცხაკაიას რაიგანყოფილების, თანახმად საქ. შს სამინისტროს მ/წლის 24 ივნისს №-38 ბრძანებისა, უბნის ინსპექტორების საქმიანობის მაჩვენებლების „მატრიცას"-ს ინსპექცია არ გააჩნია მილიციელი, მსგავსი ინსპექტორები არ გააჩნია მიღებული მეზობელი რაიონების შს რაიგანყოფილებებს, რის გამოც აღნიშნულს დირექტიული წერილის მოთხოვნების შესრულება ვერ შევძელით".**

P. S. იქნებ თქვენ შეძლოთ ძვირფასო მკითხველო, ამ აბრაკადაბრის შინაარსის გამოცნობა. თუ ვერ შეძლებთ, იმედი გვაქვს ავტორი დაგვეხმარება — ადრესატსა და რედაქციას სწორ პასუხს გამოუგზავნის, რომელსაც თქვენც გაგაცნობთ.

◆ ИЗ НАШЕЙ ПОЧТЫ

## ГРАЖДАНЕ БЛАГОДАРЯТ

Чуткость, внимательное отношение к людям, готовность помочь им в трудную минуту должны быть определяющими, помимо профессиональных знаний, качествами каждого работника органов внутренних дел. Именно эта мысль красной нитью проходит в полученном недавно редакцией благодарственном письме работника горисполкома г. Вильнюса П. Авижа.

«В конце июня нынешнего года я со своей семьей по туристической путевке приехали на турбазу «Дигоми» г. Тбилиси, — пишет нам П. Авижа, — 28 июня во время прогулки по городу потерялся наш 12-летний сын. Когда наши с женой поиски не увенчались успехом, мы обратились за помощью к старшему лейтенанту милиции, заместителю командира подразделения ППС г. Тбилиси Иосифу Джалиашвили. Он тут же принял необходимые меры, проявив при этом высокое профессиональное мастерство, умение подключить к поиску нужных сотрудников и гражданских лиц города. После нескольких часов поиска, наш сын был найден и И. Джалиашвили сам привез его на турбазу».

Всегда приятно получать письма подобного содержания, также как и приятно отметить четкое выполнение сотрудником органов внутренних дел республики своего служебного и гражданского долга.

А. ЛЬВОВ.

# მართლწესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე

### თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების დაცვის მილიციის ქვედანაყოფი 25 წლისაა

**ოცდახუთი** წლის წინათ გაერთიანდა თბილისის მილიციის სამმართველოს საუწყებო და სახელმწიფო მილიციის დანაყოფები და მას თბილისის მილიციის სამმართველოს ოპერატიული ქვედანაყოფი ეწოდა. შენაერთს მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა და დედაქალაქის ქუჩებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება დაეკისრა.

ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობის აღზრდაში, მის ფორმირებასა და ავტორიტეტის ამაღლებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით ყოფილ მეთაურებს, მილიციის პოლკოვნიკებს მ. მურცხვალაძეს, ყ. ზირაქიშვილს, მ. დგებუაძეს, მილიციის პოდპოლკოვნიკს შ. წიწქალაძეს, მეთაურის ყოფილ მოადგილეებს, მილიციის პოდპოლკოვნიკებს ხ. ჯანყარაშვილს, გ. პატვაკონოვს, გ. გოგოლაძეს და სხვებს.

არსებობის 25 წლის მანძილზე ქვედანაყოფის პირად შემადგენლობას მრავალი დანაშაული აღუკვეთია, არაერთს საკუთარი სიცოცხლეც გაუწირავს. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ მილიციის უფროსი სერჟანტის ბორის სიუკაევის ვაჟკაცობით. რომელიც გამარჯვების პარკში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მამაცურად შეება საშიშ დამნაშავეებს უმწეო მოქალაქის სიცოცხლის დასაცავად. მძიმედ დაჭრილმა შესძლო დაეკავებინა დამნაშავე, შემდეგ კი ადგილზე გარდაიცვალა.

შეიარაღებული დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოვდა ო. მაჭარაშვილი.

უფროსების მაგალითებზე იზრდებიან ახალგაზრდებიც. ვეტერანი თანამშრომლის, მილიციის პოდპოლკოვნიკის ზ. დოლიძის, მილიციის კაპიტნების გ. მაღრაძის, ვ. ედიშერაშვილის, უფროსი ლეიტენანტების რ. ჩიაევის, ა. ზუნთუროვის, მილიციის უფროსი სერჟანტის ნ. კაზიევის, ს. ბინიატოვის და სხვათა გვერდით მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის სადარაჯოზე დგანან ახალგაზრდები ფ. მაზიაშვილი, რ. ლობჟანიძე, ნ. მაზმიშვილი, კ. გაბაშვილი და სხვები.

ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა, გარდაქმნის ამოცანებმა ოპერატიული ქვედანაყოფის მუშაკთათვის წაყენებული მოთხოვნებიც გაზრდა. წვლილი, რომელიც ჩვენმა ქვედანაყოფმა უნდა შეიტანოს დანაშაულებათა ალსაკვეთად, სულ უფრო მეტი, ხოლო პოზიცია — შეურიგებელი უნდა გახდეს, ამისათვის საჭიროა, რათა გარდაქმნის პრინციპები რაც შეიძლება სწრაფად და ღრმად დამკვიდრდეს ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობის მთელს მუშაობაში, საქმისადმი მის დამოკიდებულებაში, პასუხისმგებლობასა და შეგნებაში.

იუბილარს შეეფერება თავისი ცხოვრების ეტაპობრივი ცვლილებების გზაგასაყარზე კრიტიკულად გააანალიზოს წარსული და ნაკლოვანებათაგან მიღებული გაკვეთილის გათვალისწინებით დასახოს თავისი სამომავლო გზები და გეგმები. ასე ფიქრობს ჩვენი ქვედანაყოფის მთელი პირადი შემადგენლობაც, რომელიც არსებობის მეორე ოცდახუთწლეულს იწყებს.

**მ. ბუხრიკიძე,**
**ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.**



**მიმდინარე** წლის 7 ივლისს ქვედანაყოფის კლუბში გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

მოხსენება გააკეთა ქვედანაყოფის მეთაურმა, მილიციის პოლკოვნიკმა ბ. ანდრონიკაშვილმა.

მოგონებებით გამოვიდნენ ვეტერანები ყ. ზირაქაშვილი, მ. მურცხვალაძე, მ. დგებუაძე, ზ. დოლიძე, გ. კაბულაშვილი, ი. ბესტაევი, ვ. ედიშერაშვილი, ს. ბინიატოვი; ახალგაზრდა თანამშრომლები ნ. მაზმიშვილი, ს. ჩაფიჩაძე, რ. ლობჟანიძე, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ფანჩულიძე.

ვეტერანები დაჯილდოვდნენ სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

დღესასწაულს განსაკუთრებული ელფერი შემატა ქვედანაყოფის ხალხურ საკრავთა ანსამბლის (ხელმძღვანელი ბ. ლეჟავა) გამოსვლამ.

**სურათზე:** საიუბილეო სხდომის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

**გამომცემლობა** „განათლებამ“ დასტამბა ბორის კანდელაკის ფოტოალბომი „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. გამოცემა შეიცავს თვალსაჩინო მასალებს და ინფორმაციულ ცნობებს შოთა რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. ალბომში ქვეთავებადაა წარმოდგენილი ცნობები ხალხური ბიოგრაფიიდან, შოთას წინამორბედნი და თანამედროვენი, მკვლევარები, მთარგმნელები, იუბილეები, რუსთაველი მხატვრობაში, თეატრში, კინოში, მუსიკაში და რუსთაველის პრემიის ლაურეატები. იგი მკითხველის ფართო მასებისთვისაა გათვალისწინებული. ფოტოალბომში შესულ მასალათა შორის ვკითხულობთ დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის გამონათქვამს: „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ეროვნული ღირსების და ვინაობის სახსოვარია, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩააქსოვა თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავის უკეთესი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“.

# ВЕЧЕР НА ДИСКОТЕКЕ





Современные танцевальные ритмы, калейдоскоп цветомузыкальных эффектов, непринужденная обстановка молодежного вечера — таковы наиболее яркие впечатления, оставшиеся у участников состоявшейся на днях в тбилисском Дворце ритуалов дискотеки. Организованная объединенным профсоюзным комитетом МВД ГССР для молодых сотрудников центрального аппарата министерства, она дала возможность хорошо отдохнуть после напряженного рабочего дня, получить заряд бодрости и энергии.

«В министерстве проводится большая работа по организации культурного досуга молодежи, — рассказывают председатель объединенного профкомитета МВД ГССР Б. Теплицкий и заведующая сектором культмассовой работы профкомитета Л. Норакидзе, — проводятся подшефные концерты, организуются экскурсии со спортивными мероприятиями. Подобная дискотека проводится здесь впервые, мы думаем дальше использовать эту форму отдыха молодежи».

Много было в этот вечер танцев, музыки, участникам дискотеки был предложен просмотр полуторачасовой видеопрограммы с участием звезд советской и зарубежной эстрады. И все-таки чего-то не хватало, уже очень шаблонно и стереотипно выглядела развлекательная программа, предложенная организаторами дискотеки.

«Действительно, программа могла быть более интересной и содержательной, — делится своими впечатлениями о дискотеке заместитель секретаря комитета комсомола МВД ГССР А. Кикнадзе, — более внимательными к посетителям могли бы быть непосредственные организаторы дискотеки — работники Дворца ритуалов. Им следовало бы более творчески относиться к своим обязанностям по созданию у участников дискотеки хорошего настроения. В целом же вечер, несмотря на некоторые накладки, понравился, и хотелось бы сделать подобные мероприятия регулярными, чаще организовывать их уже на базе нашего министерства».

А. ЦАТУРОВ.

(Фото А. Антоняна).

# Атака на наркоманию

Когда-то гашиш и опиум были для европейцев всего лишь штрихами восточной экзотики. Теперь организованная преступность разнесла наркотики по всему земному шару, поставив под угрозу судьбы целых народов. Серьезность угрозы побудила Генеральную Ассамблею ООН созвать международную конференцию, которая бы подготовила решительное наступление на наркоманию. Конференция состоялась в Вене с 17 по 26 июня. В ней приняли участие 2 000 специалистов из более чем 120 стран. На этой конференции как никогда подробно обсуждались вопросы, связанные со снижением предложения и спроса на наркотики, с лечением и реабилитацией наркоманов.

**საინტერესოა ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრა, ურთიერთობა, რომლების გახსენება ან დღევანდელი დღის სატკივარზე შეუძლია ისაუბროს თითოეულმა მათგანმა თქვენთან, მითუმეტეს მაშინ, თუ ჟურნალისტი ხარ და ერთი მიზანი გაქვს, მოამზადო საგაზეთო საკითხავი მასალა ასეთ პიროვნებაზე. მეც სწორედ ეს მიზანი მამოძრავებდა, როდესაც ერთ-ერთ მათგანს ვეწვიე — გივი ჩოხელი ეს ის პიროვნებაა, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე ენერგიისა და ძალის დაუზოგავად ზიდა ქართული და საბჭოთა სპორტის სახელი.**

**დღეს გივი ჩოხელი რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილეა — სულ რამოდენიმე დღის წინათ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მილიციის პოდპოლკოვნიკ გივი ჩოხელს 50 წელი შეუსრულდა...**

# ფეხბურთის თამაშს რა სჯობს!..





**— გულითადად გილოცავთ ამ თარიღს ბატონო გივი, თქვენი ცხოვრება სავსე იყო ათასი ღირსშესანიშნავი, საინტერესო დღეებით, მოკლედ ხომ ვერ გაიხსენებდით წარსულს?**

— უპირველეს ყოვლისა დიდ მადლობას მოგახსენებთ. რაც შეეხება ჩემს განვლილ დღეებს, როგორც ყველა, მეც ქუჩიდან და სკოლიდან ვეზიარე ბურთს, ეს იყო თელავში, სადაც მე დავიბადე. 1955 წელს ჩავირიცხე საქართველოს ნაკრებში და იმავე წელს დავიკავეთ II ადგილი საკავშირო გათამაშებაში, რომლის ფინალი მოსკოვში ჩატარდა. 1956 წელს უკვე თბილისის „დინამოში“ ვარ, გუნდს მაშინ გაიოზ ჯეჯელავა ხელმძღვანელობდა. ჩემი საფეხბურთო კარიერა 1963 წლამდე გაგრძელდა.

**— მაგრამ ამით თქვენ ფეხბურთს არ გამოთხოვებიხართ...**

— რა თქმა უნდა, ეს არც ისე ადვილია — 1965 წლიდან ვიწყებ მუშაობას „დინამოში“, მეორე მწვრთნელად. შემდეგ 1968-70 წლებში უფროსი მწვრთნელი ვარ, ერთი წლის შემდეგ კვლავ მეორე, 1973 წელს მცირე ხნით პირველი, 1983-84 წლებში გუნდის უფროსი. ავტოინსპექციაში 1978 წელს მოვედი, 1985 წლიდან ჩემი — უკვე ძირითადი სამსახური ავტოინსპექციაა.

**— და მაინც დავუბრუნდეთ თქვენს საფეხბურთო კარიერას. 1960 წელი, ევროპის თასი (მაშინ ასე ეწოდებოდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატს) ეს უდაოდ ღირშესანიშნავი თარიღია თქვენს ცხოვრებაში...**

— მარტო ჩემთვის? მთელი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიისათვის, ჩვენ ხომ ჩემპიონები გავხდით. ამ დღის დავიწყება არ შეიძლება, ეს უდიდესი და ულამაზესი ზეიმი იყო ჩემს ცხოვრებაში, ჩემთვის და ჩემი თანაკლუბელებისათვის, მაშინ მიშა და სლავაც გამოდიოდნენ მინდორზე.

თუ ღირშესანიშნავ თარიღებს გავიხსენებთ, ასევე ვერ დავივიწყებ 1964 წელს, თქვენ ალბათ ხვდებით, ეს გახსენება რა ასოციაციებსაც იწვევს ჩემში, მაშინ მე „ფახთაქორის“ სტადიონზე მაყურებლის როლში ვიყავი — უკვე ერთი წელი იყო, რაც ღვიძლის ავადმყოფობის გამო მინდორზე ველარ გამოვდიოდი.

**— დღეს მილიონობით ქართული ფეხბურთის გულშემატკივარისათვის, მხოლოდ ერთი პრობლემა არსებობს — თბილისის „დინამოს“ კრიზისი. ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება თქვენი აზრი ამ საკითხზე.**

— ამ თემაზე საუბარი ალბათ შორს წაგვიყვანს, რადგან დღევანდელ პრობლემას ღრმად აქვს ფესვები გადგმული წარსულში — აქ იგულისხმება ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთი, მწვრთნელთა კვალიფიკაცია, საქართველოს ჩემპიონატის მოუგვარებელი საკითხები და ა. შ. მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩავარდნა მაინც ძალიან გაჭიანურდა.

კიდევ ერთი, მე მგონი დღესდღეობით არ მოიძებნება არც I და არც II ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელი, რომელიც შეიძლება გუნდში მიიწვიო და ძირითად შემადგენლობაში დააყენო. ეს დიდი პრობლემაა, რადგან გუნდი ვერსაიდან დახმარებას ვერ ღებულობს. მიუხედავად ამისა, ბოლო გამარჯვებამ დადებითად უნდა იმოქმედოს გუნდის განწყობილებაზე, იმედი მაქვს, მდგომარეობა მალე გამოსწორდება, მითუმეტეს წინ ევროპული ტურნირია, რომელიც თავისებური სტიმულიც არის მომავალი გამარჯვებებისათვის.

**— ბატონო გივი, თავიდან, რომ დავაბრუნოთ ყველაფერი?**

— მიგიხვდით, მიგიხვდით, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფეხბურთი, სხვა რამეზე ფიქრიც კი ზედმეტია, ფეხბურთის თამაშს რა სჯობია.

P. S. კიდევ ერთ ჩვენ სახელოვან სპორტსმენს მივულოცეთ იუბილე, გადავხედეთ მის განვლილ გზას. ვარსკვლავები ქართულ ფეხბურთს არ აკლდა, მაგრამ დარწმუნებული ვართ. მათი რიცხვი კვლავ გაიზრდება, გაიზრდება ქართული სპორტის სადიდებლად.

**საუბარი მიჰყავდა**

**ზ. ბოძართელი.**

## სპორტი — СПОРТ

# СТРЕЛЯЛИ ОТЛИЧНО

На днях в г. Сухуми на базе Абхазского совета «Динамо» состоялся лично-командный чемпионат МВД ГССР по стрельбе из боевого оружия. В нем приняли участие сборные команды МВД Абхазской и Аджарской АССР, УВД Юго-Осетии, УВД Тбилгорисполкома, ГУВДТ и УИТУ МВД ГССР, УВД Кутаиси, Руставского ГОВД, Тбилисского факультета Московской высшей школы милиции.

Чемпионат прошел на высоком организационном уровне и продемонстрировал хорошую подготовку его участников. Первое место среди команд и диплом первой степени завоевала сборная МВД Абхазии, второе и третье места заняли соответственно команды ГУВДТ и Н-ской части.

В личном зачете чемпионами стали. в упражнении ПМ-3 старший оперуполномоченный ОУР, капитан милиции Ш. Маглакелидзе, в упражнении ПМ-4 и ПМ-6 — милиционер службы ППС Сухумского ГОВД сержант милиции В. Халецкий, в упражнении АК-3 и АК-4 представители Н-ской части — прапорщик Н. Любашенко и майор внутренней службы С. Гасанов.

Среди женщин первенствовали: в упражнении ПМ-2 — инспектор ИДН ГУВДТ МВД ГССР, капитан милиции Т. Т. Терехова, в упражнении ПМ-5 — воспитатель приемника-распределителя для несовершеннолетних ОУР МВД Абхазской АССР, капитан милиции Л. Таракчян.

По результатам чемпионата сформирована сборная МВД республики, которая примет участие в чемпионате МВД СССР в Минске с 26 по 30 июля. Членам сборной и ее тренеру майору внутренней службы А. Игмеляну, за успешное участие в прошедшем чемпионате приказом министра МВД Абхазской АССР вручены дипломы и ценные подарки.

## НА ФЕСТИВАЛЬНОЙ ОРБИТЕ

# ЗАВЕРШЁН ТВОРЧЕСКИЙ КОНКУРС

Рядом творческих удач был отмечен завершившийся недавно в Абхазской АССР конкурс на создание лучшей песни, марша и поэтического произведения о милиции. Конкурс, объявленный совместным постановлением министерств внутренних дел и культуры, а также союзами писателей и композиторов Абхазии, был посвящен 70-летию Великой Октябрьской социалистической революции.

Победителями первого тура были признаны музыкальные произведения «Моя милиция» и «Разговор матери с сыном» заслуженного деятеля искусств Грузинской ССР и Абхазской АССР, композитора К. Шенгелия, «Ты жизнь моя — милиция» и «Тебе любимая» заслуженного деятеля искусств Абхазской АССР Л. Чепелянского.

Среди лучших музыкальных произведений жюри отметило два марша — «Марш советской милиции» Л. Жачека и «Марш народной милиции» начальника политчасти Гагрского ГОВД капитана милиции С. Гевокяна.

Лучшими поэтическими произведениями о милиции признаны стихи Т. Чания и сухумского педагога В. Скутарнова. Все победители, произведения которых рекомендованы для участия во II туре конкурса в г. Тбилиси, награждены почетными грамотами и ценными подарками.

Е. ОСИПОВА,
капитан милиции.

**პირველი პროგრამა**

**პარასკევი, 24 ივლისი**

22.00 ახალგაზრდობისათვის — „იყიდებოდა სიკვდილი“. (ნარკომანიის პრობლემები) I გადაცემა

**შაბათი, 25 ივლისი**

19.00 ახალგაზრდობისათვის — „იყიდებოდა სიკვდილი“ II გადაცემა.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონი:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 07934